ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 11

ქ. ონი 22. 11. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 9 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ლევან ორდინიძე, გივი მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, თეიმურაზ ცეცაძე.

არ ესწრებოდა: სონია გუგეშაშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირმა მაისურაძე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი მაგდა მაისურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

2.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.

//მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

3.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

4.,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: მაგდა მაისურაძე - მერიის ადმ. სამს. რესურსების მართვისა და საინფ. განყ. უფროსი/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს "ონის სერვის ჯგუფისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

6.,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: ირმა მაისურაძე - მერიის იურიდიული სამსახურის მ/შ/

7.,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის #26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე/

8.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის ინფორმაცია 2022 წლის მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

/მომხსენებელი: ნინო გობეჯიშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/

9.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობიდან გიორგი მარკოიშვილის გასვლის შესახებ.

/მომხსენებელი: ვ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

10.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის #45 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ვ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

11.გიორგი მარკოიშვილის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისა და ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

/მომხსენებელი: ვ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

12.კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შეთანხმებული დოკუმენტაციის განხილვა.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე/

ბ. მარკოიშვილმა განაცხადა, რომ საკითხები: 8.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის ინფორმაცია 2022 წლის მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ და 12.კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შეთანხმებული დოკუმენტაციის განხილვა, საჭიროებს ღრმა და საფუძვლიან შესწავლას და საჭიროა, გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის.

  დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე, აღნიშნული საკითხების - 8.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის ინფორმაცია 2022 წლის მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, 12.კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შეთანხმებული დოკუმენტაციის განხილვა- გარეშე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

*თანა*მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 2.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.

//მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

ბ. მარკოიშვილმა განაცხადა, რომ საჭიროა, ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი დაბრუნდეს მერიაში თანდართული შენიშვნებით.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 4. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: მაგდა მაისურაძე - მერიის ადმ. სამს. რესურსების მართვისა და საინფ. განყ. უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს " ონის სერვის ჯგუფისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს "ონის სერვის ჯგუფისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ და აღნიშნა, რომ საჭიროა, მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიკროავტობუსი FORD TRANZIT 460E (სახელმწიფო ნომრით LQ114QQ გამოშვების წელი 2022) შპს ,,ონის სერვისჯგუფისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 6. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: ირმა მაისურაძე - მერიის იურიდიული სამსახურის მ/შ/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამსახურის დებულებაში დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილების შეტანა აუცილებელია სამსახურის გამართული და სწორი მუშაობისთვის.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე
მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 7. ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის

განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის #26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის #26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში ცვლილება შედის სამართლებრივი შენიშვნის საფუძველზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობიდან გიორგი მარკოიშვილის გასვლის შესახებ.

/მომხსენებელი: ვ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობიდან გიორგი მარკოიშვილის გასვლის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობიდან გიორგი მარკოიშვილის გასვლის შესახებ.

მოისმინეს: 9.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის #45 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ვ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის #45 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 10. გიორგი მარკოიშვილის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისა და ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

/მომხსენებელი: ვ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია გიორგი მარკოიშვილის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისა და ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული აღნიშნული ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე